სააქციო საზოგადოება „ენერგოკავშირი”-ს
ეთიკის კოდექსი

დამტკიცებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

30.12.2022წ.

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1.1. სს ენერგოკავშირის ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ქცევის წესების სტანდარტებს, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებისა და თანამშრომლების საქმიანობის წარმართვას.

1.2. ეთიკის კოდექსი ვრცელდება მმართველ ორგანოსა და ორგანიზაციაში დასაქმებულ პირებზე.

მუხლი 2. ძირითადი პრინციპები

2.1. მმართველი ორგანოს წევრები და თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად. თანამდებობრივ მდგომარეობას და უფლებამოსილებას უნდა იყენებდნენ სამსახურის ინტერესების დაცვის მიზნით.

2.2.მმართველი ორგანოს წევრები და თანამშრომლები პატივს უნდა სცემდნენ საქართველოს კონსტიტუციას, კანონით აღიარებულ ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს და ხელს უწყობდნენ ნებისმიერ სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

2.3. მმართველი ორგანო და თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა.

2.4.მართველი ორგანო უნდა მოქმედებდეს ორგანიზაციის და აქციონერთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

2.5.საზოგადოების ურთიერთობა მმართველი ორგანოსა და თანამშრომლების მიმართ ეფუძნება გრძელვადიან თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემისა და ორმხრივი ვალდებულებების განუხრელი შესრულების პრინციპებს. საზოგადოება ყველა პირობას ქმნის თანამშრომლების პროფესიული ზრდისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის.

2.6. მმართველმა ორგანომ და თანამშრომლებმა არ უნდა დაუშვან ისეთი სიტუაციის წარმოშობა, რომელიც ზიანს მიაყენებს ორგანიზაციის საქმიან რეპუტაციას და მის მატერიალურ თუ არამატერიალურ ინტერესებს.

2.7. მმართველი ორგანო და თანამშრომლები ვალდებულნი არიან არ გაასაჯაროონ სამსახურეობრივი ინფორმაცია და არ გამოიყენონ პირადი მიზნებისთვის, იმ გამონაკლისების გარდა, როდესაც ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება სავალდებულოა კანონმდებლობით.

2.8. უმაღლესი ორგანო და თანამშრომლები გონივრულად უნდა იყენებდნენ საზოგადოების ქონებას და არ უნდა დაუშვან არადანიშნულებისამებრ გამოყენება. საზოგადოების ქონება განკუთვნილია თანამშრომლების მიერ სამსახურეობრივი მიზნების მიღწევისთვის.

2.9.საზოგადოება იცავს კორუფციული პრაქტიკის აღკვეთის პროცედურებს. მმართველ ორგანოსა და თანამშრომლებს ეკრძალებათ პირადად ან მესამე პირების შუამავლობით მონაწილეობა მიიღონ კორუფციულ ქმედებებში, შესთავაზონ ან აიღონ ქრთამი, საჩუქარი ან სხვა სარგებელი. ბოროტად გამოიყენონ საკუთარი უფლებამოსილებები.

2.10.მმართველი ორგანო და თანამშრომლები ვალდებულნი არიან თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი. პოტენციური ან უკვე წარმოქმნილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ სრულად გაასაჯაროონ ინფორმაცია, რომელსაც პირდაპირ ან ირიბად შეუძლია ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნა.

2.11. საზოგადოებას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნია გარემოს დაცვა. ორგანიზაცია ისწრაფის გარემოსადმი ზრუნვისაკენ, მნიშვნელოვანი რესურსების (ელექტროენერგია, ქაღალდი, საწვავი) ეკონომიური გამოყენების გზით, გარემოსდაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო პრინციპების გათვალისწინებით.

2.12. კანონით დადგენილი წესით, საზოგადოება უზრუნველყოფს, საზოგადოების საქმიანობასთან და ასევე უკანონო და არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

2.13. საზოგადოება იცავს ანონიმური მხილების ეფექტურ სისტემას, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ უკანონო და არაეთიკური ფაქტები დააფიქსირონ, კონფიდენციალურად, ყოველგვარი დისკრიმინაციული და არასათანადო მოპყრობის საფრთხის გარეშე, რომელზეც შემდგომ იქნება მოკვლევა და სათანადო რეაგირება.

2.14.მმართველი ორგანო და თანამშრომლები დროულად განიხილავენ და რეაგირებენ შენიშვნებზე, საჩივრებსა და პრეტენზიებზე, რომლებიც აქციონერების, მომხმარებლების და სახელისუფლებო ორგანოების მიერ გამოითქმება.

3. კოდექსის დებულების დარღვევა

უმაღლესი ორგანოს და თანამშრომლების მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში განხილული იქნება დარღვევის სახე და გამოყენებული იქნება შესაბამისი ღონისძიებები.